LEPL Tbilisi zakaria palishvili opera and ballet profesional state teathre
Digitally signed by LEPL Tbilisi zakaria palishvili opera and ballet profesional state teathre
Date: 2019.10.09 17:12:35 +04'00'

ხელშეკრულება № ბ-311
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბადრი მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს “ალმა” (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ტრაპაიძის სახით,

ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვმოქმედებთ, რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მონეტარული ზღვრის დაცვით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე, კვირა, თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს სარეკლამო ვიდეო რგოლების ულიმიტოდ განთავსება ”მიმწოდებლის“ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ 5 მონიტორზე დანართი 1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (CPV 79340000)

3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს დღგს გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 მომსახურების გაწევის ვადა: ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

ე) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრის პიარ-მენეჯერი **მაკო ფაცურია.**

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ანგარიშის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრის პიარ-მენეჯერი **მაკო ფაცურია.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის

და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ხელშეკრულების პირობები.

10.2 მხარეებს ხელშეკრულების პირობების ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 დეკემბრამდე.

15 .ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „"ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

17 .მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი
მისამართი: რუსთაველის გამზ.#25
ს.კ. 203853954
ბანკის კოდი: TRESGE22
სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ანგარიში: 708157169

სამხატვრო ხელმძღვანელი და
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ბადრი მაისურაძე

„მიმწოდებელი“
შპს ალმა
მისამართი: ქ. თბილისი
ვანის 6
ს.კ. 204873388
ბანკის კოდი: BAGAGE22
სს საქართველოს ბანკი
ა.ა. GE20 BG00 0000 0361 5728 00

დირექტორი:

გიორგი ტრაპაიძე

Alma LTD
Digitally signed by Alma LTD
Date: 2019.10.09 15:59:19 +04'00'

დანართი 1

N	სარეკლამო მონიტორის მდებარეობა	განზ. ერთ. (წამი/დღე-ღამეში)	სულ ფასი
1	აეროპორტი (ბარგის ზონა)	4000	1000,00
2	შარდენის ქ.	4000	900,00
3	შარტავა-ბულაჩაურის ქ-ების კვეთა	4000	1000,00
4	თამარ მეგის გამზ. (ქინგ დეივიდთან)	4000	1000,00
5	კოსტავას ქ. კაზინო აჭარასთან	4000	1000,00
სულ: ოთხი ათას ცხრაასი ლარი			**4900,00**

„შემსყიდველი“
სსიპ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახ. თეატრი
მისამართი: რუსთაველის გამზ.#25
ს.კ. 203853954
ბანკის კოდი: TRESGE22
სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ანგარიში: 708157169

სამხატვრო ხელმძღვანელი და
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ბადრი მაისურაძე

„მიმწოდებელი“
შპს ალმა
მისამართი: ქ. თბილისი
ვანის 6
ს.კ. 204873388
ბანკის კოდი: BAGAGE22
სს საქართველოს ბანკი
ა.ა. GE20 BG00 0000 0361 5728 00

დირექტორი:

გიორგი ტრაპაიძე